SOCAR
KULEVI OIL TERMINAL

Black Sea Terminal LLC
Kulevi, Khobi, 5800, Georgia
Phone: (995 32) 224 38 38
Fax: (995 32) 224 38 39
E-mail: info@bst.socar.az
www.kulevioilterminal.com

№ SCRK/LO-21/09-0902

2021 წლის 15 სექტემბერი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც ცნობილია, შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ. მ და 2X2000 კუბ. მ მოცულობის ნავთობპროდუქტებისა (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) და 2000 კუბ.მ მოცულობის ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების (იზოპროპილის სპირტის) საცავების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გაერთიანებული გადაწყვეტილება- 2021 წლის 7 მაისის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-622.

ასევე, 2021 წლის 24 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების N2-915 თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტში, შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკის რეკონსტრუქციისა და დამატებით ახალი 1x5000 m^3 მოცულობის რეზერვუარის მოწყობა და ექსპლუატაცია (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) დაექვემდებარა გზშ პროცედურებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად და წარმოგიდგენთ „ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის N6 სარეზერვუარო პარკში დამატებით ახალი 1x5000მ3 მოცულობის რეზერვუარის მოწყობის და ესპლუატაციის" პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- CD დისკი (საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა კოორდინატები, shape ფაილის სახით, სკოპინგის პროექტის ელ. ვერსია)

პატივისცემით,

კარიმ გულიევი

შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს

გენერალური დირექტორი

COMPANY "BLACK SEA TERMINAL" 204892170

№ 16773
17.09.2021
1/CD